

ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს ექზაქტურო სისტემს ჯორჯია

პერიოდი: 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე

AG International Consulting  
Member of Prime Global  
Audit & Business Advisory Services

**AGIC**

*certified member*



**PrimeGlobal**

## სარჩევი

|                                                                                     |    |
|-------------------------------------------------------------------------------------|----|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..... | 3  |
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....                                               | 4  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                                             | 8  |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება.....                                                   | 9  |
| კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება .....                                               | 10 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....                                                  | 11 |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები .....                          | 12 |

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ექსპეტრო სისტემს ჯორჯია“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს თანახმად, თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 10 მარტს.

მენეჯმენტის სახელით:

---

დირექტორი  
ნათია სირბილაძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო

---

ფინანსური მენეჯერი  
ლევან ნეფარიძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ექსპრო სისტემს ჯორჯია“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს თანახმად, თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 10 მარტს.

მენეჯმენტის სახელით:

  
დირექტორი  
ნათია სირბილაძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო



  
ფინანსური მენეჯერი  
ლევან ნეფარიძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### შპს ექსპეტრო სისტემს ჯორჯია-ს დამფუძნებლებს:

#### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ექსპეტრო სისტემს ჯორჯია („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლებისთვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“-ს შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

#### სხვა გარემოებები

ჩვენ ჩავატარეთ შპს ექსპეტრო სისტემს ჯორჯია-ს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2024 წლის 04 მარტს.

#### მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს „კომპანიის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე  
დირექტორი  
შპს ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი  
SARAS-F-344253  
PrimeGlobal -ის წევრი  
2025 წლის 10 მარტი

თამილა ჩაგელიშვილი  
რეგისტრირებული აუდიტორი  
SARAS-A-913906  
2025 წლის 10 მარტი

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.



მ. ჩაგელიშვილი

თამილა ჩაგელიშვილი

მ. ჩაგელიშვილი

გიორგი მიქაბაძე  
დირექტორი  
შპს ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი  
SARAS-F-344253  
PrimeGlobal -ის წევრი  
2025 წლის 10 მარტი

თამილა ჩაგელიშვილი  
რეგისტრირებული აუდიტორი  
SARAS-A-913906  
2025 წლის 10 მარტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                         | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-----------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                         |          |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                    | 5        | 739,380           | 932,857           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>        |          | <b>739,380</b>    | <b>932,857</b>    |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>            |          |                   |                   |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები         |          | 129,426           | 51,847            |
| გაცემული ავანსები                       |          | 161,466           | 188,174           |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | 6        | 4,173,259         | 5,539,431         |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები   | 7        | 210,872           | 375,381           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>        |          | <b>4,675,023</b>  | <b>6,154,833</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                     |          | <b>5,414,403</b>  | <b>7,087,690</b>  |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>        |          |                   |                   |
| <b>კაპიტალი</b>                         |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                      |          | 1,019,007         | 1,019,007         |
| გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)           |          | 4,035,198         | 5,722,033         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                     |          | <b>5,054,205</b>  | <b>6,741,040</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                    |          |                   |                   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>       |          |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 8        | 360,198           | 346,650           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>   |          | <b>360,198</b>    | <b>346,650</b>    |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                |          | <b>360,198</b>    | <b>346,650</b>    |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>    |          | <b>5,414,403</b>  | <b>7,087,690</b>  |

დირექტორი  
ნათია სირბილაძე


10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი  
ლევან ნეფარიძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                         | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-----------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                         |          |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                    | 5        | 739,380           | 932,857           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>        |          | <b>739,380</b>    | <b>932,857</b>    |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>            |          |                   |                   |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები         |          | 129,426           | 51,847            |
| გაცემული ავანსები                       |          | 161,466           | 188,174           |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | 6        | 4,173,259         | 5,539,431         |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები   | 7        | 210,872           | 375,381           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>        |          | <b>4,675,023</b>  | <b>6,154,833</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                     |          | <b>5,414,403</b>  | <b>7,087,690</b>  |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>        |          |                   |                   |
| <b>კაპიტალი</b>                         |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                      |          | 1,019,007         | 1,019,007         |
| გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)           |          | 4,035,198         | 5,722,033         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                     |          | <b>5,054,205</b>  | <b>6,741,040</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                    |          |                   |                   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>       |          |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 8        | 360,198           | 346,650           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>   |          | <b>360,198</b>    | <b>346,650</b>    |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                |          | <b>360,198</b>    | <b>346,650</b>    |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>    |          | <b>5,414,403</b>  | <b>7,087,690</b>  |

  
დირექტორი  
ნათია სირბილაძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო



  
ფინანსური მენეჯერი  
ლევან ნეფარიძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                | შენიშვნა | 2024 წელი         | 2023 წელი         |
|--------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი მომსახურებიდან      | 9        | 26,464,703        | 29,588,671        |
| <b>საერთო მოგება</b>           |          | <b>26,464,703</b> | <b>29,588,671</b> |
| ადმინისტრაციული ხარჯები        | 10       | (24,239,898)      | (26,522,513)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>       |          | <b>2,224,805</b>  | <b>3,066,158</b>  |
| წმინდა საკუთსო მოგება/(ზარალი) |          | (85,116)          | (158,055)         |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი  |          | 2,161             | 23,084            |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები     |          | (14,365)          | (43,236)          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>      |          | <b>2,127,485</b>  | <b>2,887,951</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი      |          | (196,338)         | -                 |
| <b>წმინდა მოგება</b>           |          | <b>1,931,147</b>  | <b>2,887,951</b>  |

დირექტორი  
ნათია სირბილაძე


10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი  
ლევან ნეფარიძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო


სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                 | შენიშვნა | 2024 წელი         | 2023 წელი         |
|---------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი მომსახურებიდან       | 9        | 26,464,703        | 29,588,671        |
| <b>საერთო მოგება</b>            |          | <b>26,464,703</b> | <b>29,588,671</b> |
| ადმინისტრაციული ხარჯები         | 10       | (24,239,898)      | (26,522,513)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>        |          | <b>2,224,805</b>  | <b>3,066,158</b>  |
| წმინდა საკუროსო მოგება/(ზარალი) |          | (85,116)          | (158,055)         |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი   |          | 2,161             | 23,084            |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები      |          | (14,365)          | (43,236)          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>       |          | <b>2,127,485</b>  | <b>2,887,951</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი       |          | (196,338)         | -                 |
| <b>წმინდა მოგება</b>            |          | <b>1,931,147</b>  | <b>2,887,951</b>  |

  
დირექტორი  
ნათია სირბილაძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო



  
ფინანსური მენეჯერი  
ლევან ნეფარიძე

10 მარტი, 2025  
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

|                                                  | გაუნაწილებელი<br>მოგება | საწესდებო<br>კაპიტალი | ჯამურად            |
|--------------------------------------------------|-------------------------|-----------------------|--------------------|
| <b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>2,834,082</b>        | <b>1,019,007</b>      | <b>3,853,089</b>   |
| პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)                  | 2,887,951               | -                     | <b>2,887,951</b>   |
| <b>პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)</b>        | <b>2,887,951</b>        | <b>-</b>              | <b>2,887,951</b>   |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>5,722,033</b>        | <b>1,019,007</b>      | <b>6,741,040</b>   |
| პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)                  | 1,931,147               | -                     | <b>1,931,147</b>   |
| <b>პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)</b>        | <b>1,931,147</b>        | <b>-</b>              | <b>1,931,147</b>   |
| დივიდენდის გამოცხადება                           | (3,617,982)             | -                     | <b>(3,617,982)</b> |
| <b>ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძნებლებთან</b>  | <b>(3,617,982)</b>      | <b>-</b>              | <b>(3,617,982)</b> |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>4,035,198</b>        | <b>1,019,007</b>      | <b>5,054,205</b>   |

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

|                                                             | 31 დეკემბერი 2024  | 31 დეკემბერი 2023 |
|-------------------------------------------------------------|--------------------|-------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>             |                    |                   |
| წლის მოგება                                                 | 1,931,147          | 2,887,951         |
| <b>კორექტირებები:</b>                                       |                    |                   |
| ცვეთა                                                       | 190,164            | 185,197           |
| მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან                       | 85,116             | 158,055           |
| <b>საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</b> | <b>2,206,427</b>   | <b>3,231,203</b>  |
| ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში          | 1,358,467          | (2,795,078)       |
| ცვლილებები წინასწარ გადახდილი გადასახადები                  | (77,579)           | 45,965            |
| ცვლილებები წინასწარ გადახდილ ხარჯებში                       | -                  | 26,228            |
| ცვლილებები გაცემულ ავანსებში                                | 26,708             | (27,572)          |
| ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში         | 20,138             | 147,354           |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>      | <b>3,534,161</b>   | <b>628,100</b>    |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>           |                    |                   |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                | (3,970)            | (88,744)          |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაცია                            | 7,283              | 50,189            |
| <b>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>               | <b>3,313</b>       | <b>(38,555)</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>              |                    |                   |
| დივიდენდების გადახდა                                        | (3,617,982)        | -                 |
| <b>წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან</b>                  | <b>(3,617,982)</b> | <b>-</b>          |
| <b>ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება</b>               | <b>(80,508)</b>    | <b>589,545</b>    |
| უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე                                | (84,001)           | (380,435)         |
| ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში             | 375,381            | 166,271           |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>           | <b>210,872</b>     | <b>375,381</b>    |

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ძირითადი საკმეოანობა

ექსპეტროს ჯგუფი არის სპეციალიზებული კომპანია, რომელიც გასწევს პროგრამული ტესტირებისა და განვითარების მომსახურებას თავისი კლიენტებისთვის - მსოფლიო ფინანსური ინდუსტრიის ლიდერების, ტექნოლოგიურად რთული პლატფორმების შესამოწმებლად. ექსპეტროს ჯგუფის პროგრამულ უზრუნველყოფას და იდეებს იყენებს მსოფლიოს ოცამდე უმსხვილესი ბირჟა და საკლირინგო პალატა.

კომპანია დაარსდა 2009 წელს. ექსპეტროს ჯგუფს აქვს მუშაობის გამოცდილება ისეთ პლატფორმებთან, როგორიცაა ვაჭრობის, კლირინგისა და ანგარიშსწორების პლატფორმები (ე.წ. Settlement Platforms), ბაზარზე ზედამხედველობის სისტემები, ბაზრის მონაცემთა სისტემები, გირაოს და რისკის მართვის სისტემები, ასევე პოსტ-სავაჭრო ინფრასტრუქტურები. ექსპეტროს ჯგუფი უზრუნველყოფს ფუნქციონალურ და არაფუნქციონალურ ტესტირების სერვისებს ბირჟებისთვის, კლირინგის პალატებისთვის, ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარებისთვის, სავაჭრო რეპოზიტორებისთვის, ციფრული ბირჟებისთვის, ცენტრალური ბანკებისთვის, ბროკერებისთვის და საინვესტიციო ბანკებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ექსპეტროს ჯგუფის სათაო ოფისი მდებარეობს გაერთიანებულ სამეფოში, ასევე, კომპანიის ოფისები ფუნქციონირებს შეერთებულ შტატებში, საქართველოში, შრი-ლანკაში, ლიტვაში, სომხეთში, კანადაში, იტალიაში და ავსტრალიაში. 2018 წლის სექტემბერში ექსპეტროს ჯგუფ-მა გახსნა ახალი რესურსცენტრი თბილისში, რომელიც დაფუძნებულია შპს ექსპეტრო სისტემს ჯორჯია-ს სახელით. შპს ექსპეტრო სისტემს ჯორჯია-ს 100%-იანი წილის მფლობელი არის შპს ექსპეტრო სისტემს ლიმიტედი. შპს ექსპეტრო სისტემს ჯორჯია მოქმედებს როგორც რესურსცენტრი აღნიშნულ ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამების ტესტირებისა და განვითარების მომსახურებას ექსპეტროს ჯგუფის-ს სხვა პირებისთვის, რომლებიც დაფუძნებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოსა და ლიტვაში. შპს ექსპეტრო სისტემს ჯორჯია არ ყიდის მომსახურებას ექსპეტროს ჯგუფის გარეთ და მას არ ჰყავს კლიენტები საქართველოში.

შპს ექსპეტრო სისტემს ჯორჯიას იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, საოფისე ფართი N19, სართული 3, ბლოკი VIII. კომპანიის დამფუძნებელი არის კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ექსპეტრო სისტემს ლიმიტედი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, 09485548, 12.03.2015.

ექსპეტროს ჯგუფის ბენეფიციარები არიან:

- 1) ოსიფ იტკინ - 50%
- 2) ალექსეი ზვერევი - 50%

2021 წლის 13 ივლისს საქართველოს მთავრობის განკარგულება N1190-ის შესაბამისად შპს ექსპეტრო სისტემს ჯორჯია-ს მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი.

### 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

#### *შესაბამისობის განცხადება*

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

#### *მომზადების საფუძველი*

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

#### **ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

#### *საანგარიშგებო ვალუტა*

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

## უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

|                                           | 31<br>დეკემბერი<br>2022 | 31<br>დეკემბერი<br>2023 | 31<br>დეკემბერი<br>2024 |
|-------------------------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|
| ლარი/1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.2581                  | 3.4228                  | 3.5349                  |
| ლარი/1 აშშ დოლარი                         | 2.7020                  | 2.6894                  | 2.8068                  |
| ლარი/1 ევრო                               | 2.8844                  | 2.9753                  | 2.9306                  |

## ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

## ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- ოფისის აღჭურვილობა - 5-20%
- კომპიუტერული ტექნიკა - 5-32%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 10-14%
- არამატერიალური აქტივები - 100%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

#### *არამატერიალური აქტივები*

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფებს, ლიცენზიებს და სხვა არამატერიალურ აქტივებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაცია ერიცხებათ მათი სასიცოცხლო პერიოდის გათვალისწინებით.

#### *მოგების გადასახადი*

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია მის ფასს 29-ე განყოფილებაში არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

#### *დამატებული ღირებულების გადასახადი*

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო ღირებულებით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით. კომპანიის 100% შემოსავალი იბეგრება 0% დღგ, რადგან ის ყიდის მომსახურებას საქართველოს ფარგლებს გარეთ. კომპანიის კომპანიის ჩასათვლელი დღგ გაქვითულია სხვა საგადასახად ვალდებულებებთან

#### *სასაქონლო მატერიალური მარაგები*

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო

მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა კომპიუტერული ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

### *ფინანსური ინსტრუმენტები*

#### **(ა) ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამოიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამოიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამოიზნული ფინანსური აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

#### **სესხები და მოთხოვნები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

## **(ბ) ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

## **ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

## **(გ) გადახურვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

## **მოკლევადიანი მოთხოვნები**

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

## **გადახდილი ავანსები**

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

## დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

## ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

## შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

## შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი/მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

## ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

## თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები, კერძო დაზღვევა და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

## გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

#### 4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

##### *ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა*

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

## 5. ძირითადი საშუალებები

|                                               | ოფისის<br>აღჭურვილობა | კომპიუტერული<br>ტექნიკა | იჯარით აღებული ქონების<br>კეთილმოწყობა | სულ       |
|-----------------------------------------------|-----------------------|-------------------------|----------------------------------------|-----------|
| <b>საწყისი ღირებულება</b>                     |                       |                         |                                        |           |
| ბალანსი 31.12.2022                            | 589,028               | 527,479                 | 237,024                                | 1,353,531 |
| შემოსვლა                                      | 9,264                 | 79,480                  | -                                      | 88,744    |
| გასვლა                                        | (23,243)              | (3,466)                 | (66,101)                               | (92,810)  |
| ბალანსი 31.12.2023                            | 575,049               | 603,493                 | 170,923                                | 1,349,465 |
| შემოსვლა                                      | 1,600                 | 2,370                   | -                                      | 3,970     |
| გასვლა                                        | (2,180)               | (8,402)                 | -                                      | (10,582)  |
| ბალანსი 31.12.2024                            | 574,469               | 597,461                 | 170,923                                | 1,342,853 |
| <b>აკუმულირებული ცვეთა და<br/>გაუფასურება</b> |                       |                         |                                        |           |
| ბალანსი 31.12.2022                            | (172,504)             | (65,879)                | (35,649)                               | (274,032) |
| ცვეთა პერიოდისათვის                           | (62,380)              | (88,058)                | (34,759)                               | (185,197) |
| გასვლის შედეგად ელიმინირება                   | 3,811                 | 272                     | 38,538                                 | 42,621    |
| ბალანსი 31.12.2023                            | (231,073)             | (153,665)               | (31,870)                               | (416,608) |
| ცვეთა პერიოდისათვის                           | (75,301)              | (90,447)                | (24,416)                               | (190,164) |
| გასვლის შედეგად ელიმინირება                   | 904                   | 2,395                   | -                                      | 3,299     |
| ბალანსი 31.12.2024                            | (305,470)             | (241,717)               | (56,286)                               | (603,473) |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>            |                       |                         |                                        |           |
| ბალანსი 31.12.2022                            | 416,524               | 461,600                 | 201,375                                | 1,079,499 |
| ბალანსი 31.12.2023                            | 343,976               | 449,828                 | 139,053                                | 932,857   |
| ბალანსი 31.12.2024                            | 268,999               | 355,744                 | 114,637                                | 739,380   |

## 6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება               | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|------------------------------------------------------|------------------------|------------------------|
| მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები | 4,145,890              | 5,512,691              |
| გადახდილი პენსია                                     | 23,222                 | 15,613                 |
| მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების წინაშე           | 4,147                  | 11,127                 |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება</b>    | <b>4,173,259</b>       | <b>5,539,431</b>       |

## 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები             | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|---------------------------------------------------|------------------------|------------------------|
| ლარები საბანკო ანგარიშებზე                        | 208,965                | 374,829                |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე                | 16                     | 11                     |
| <b>ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე</b> | <b>208,981</b>         | <b>374,840</b>         |
| ნაღდი ფული სალაროში                               | 1,891                  | 541                    |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</b>  | <b>210,872</b>         | <b>375,381</b>         |

## 8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება            | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|----------------------------------------------------|------------------------|------------------------|
| გადასახდელი ხელფასები                              | 321,669                | 319,930                |
| მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები          | 38,529                 | 22,485                 |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ           | -                      | 4,235                  |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b> | <b>360,198</b>         | <b>346,650</b>         |

## 9. შემოსავალი მომსახურებიდან

| შემოსავალი მომსახურებიდან            | 2024              | 2023              |
|--------------------------------------|-------------------|-------------------|
| EXACTPRO SYSTEMS LIMITED             | 16,897,375        | 18,674,309        |
| EXACTPRO SYSTEMS LLC                 | 9,208,776         | 10,868,094        |
| EXACTPRO SYSTEMS LITHUANIA UAB       | 358,552           | 46,268            |
| <b>სულ შემოსავალი მომსახურებიდან</b> | <b>26,464,703</b> | <b>29,588,671</b> |

## 10. ადმინისტრაციული ხარჯები

| ადმინისტრაციული ხარჯები                             | 2024              | 2023              |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ხელფასის ხარჯები                                    | 22,476,419        | 24,251,245        |
| იჯარის ხარჯები                                      | 465,236           | 593,536           |
| დაზღვევის ხარჯები                                   | 284,669           | 366,420           |
| თანამშრომლის დამატებითი სარგებლის ხარჯები           | 277,277           | 310,791           |
| კომუნიკაციის ხარჯები                                | 163,787           | 145,803           |
| მომსახურების ხარჯები                                | 152,379           | 113,802           |
| ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯები                      | 190,166           | 193,551           |
| საპენსიო ხარჯები                                    | 57,126            | 72,250            |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                        | 38,589            | 37,330            |
| კომუნალური ხარჯები                                  | 37,506            | 56,496            |
| მივლინების ხარჯები                                  | 36,542            | 323,974           |
| აუდიტის ხარჯები                                     | 17,000            | 15,000            |
| საოფისე ხარჯები                                     | 15,170            | 20,287            |
| მცირე ფასიანი ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯები | 14,196            | 18,711            |
| ბანკის ხარჯები                                      | 13,535            | 2,982             |
| საგადასახადო ხარჯები                                | 301               | 74                |
| იურიდიული მომსახურების ხარჯები                      | -                 | 261               |
| <b>სულ ადმინისტრაციული ხარჯები</b>                  | <b>24,239,898</b> | <b>26,522,513</b> |

## 11. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

### სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

### გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის

თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

#### გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

#### დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის.

#### 12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია „მსს ფასს“-ში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

| ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024                                                                                        | დებიტორული დავალიანება |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------|
| კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ექსაქტპრო სისტემს ლიმიტედ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო | 1,846,285              |
| EXACTPRO SYSTEMS LLC                                                                                                             | 2,299,605              |
| EXACTPRO SYSTEMS LITHUANIA UAB                                                                                                   | -                      |
| <b>სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024</b>                                                                             | <b>4,145,890</b>       |
| ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023                                                                                        | დებიტორული დავალიანება |
| კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ექსაქტპრო სისტემს ლიმიტედ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო | 3,218,017              |
| EXACTPRO SYSTEMS LLC                                                                                                             | 2,248,476              |
| EXACTPRO SYSTEMS LITHUANIA UAB                                                                                                   | 46,197                 |
| <b>სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023</b>                                                                             | <b>5,512,691</b>       |

| ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024                                                                                | შემოსავალი        |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|
| კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ექსპრო სისტემს ლიმიტედ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო | 16,897,375        |
| EXACTPRO SYSTEMS LLC                                                                                                          | 9,208,776         |
| EXACTPRO SYSTEMS LITHUANIA UAB                                                                                                | 358,552           |
| <b>სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024</b>                                                                     | <b>26,464,703</b> |
| ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023                                                                                | შემოსავალი        |
| კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ექსპრო სისტემს ლიმიტედ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო | 18,674,309        |
| EXACTPRO SYSTEMS LLC                                                                                                          | 10,868,094        |
| EXACTPRO SYSTEMS LITHUANIA UAB                                                                                                | 46,268            |
| <b>სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023</b>                                                                     | <b>29,588,671</b> |

კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობა ექსპრო სისტემს ლიმიტედ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო არის შპს ექსპრო სისტემს ჯორჯია-ს დამფუძნებელი - 100%

კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობა ექსპრო სისტემს ლიმიტედ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო არის EXACTPRO SYSTEMS LLC-ის დამფუძნებელი - 100%

კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობა ექსპრო სისტემს ლიმიტედ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო არის EXACTPRO SYSTEMS LITHUANIA UAB-ის დამფუძნებელი - 100%

| მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება            | 2024 წელი      | 2023 წელი      |
|--------------------------------------------|----------------|----------------|
| ნათია სირბილაძე - დირექტორი                | 182,997        | 169,622        |
| ლევან ნეფარიძე - ფინანსური მენეჯერი        | 122,645        | 110,960        |
| <b>სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება</b> | <b>305,642</b> | <b>280,582</b> |

### 13. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 1,019,007 ლარი.

### 14. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

კომპანიის მიმდინარე ოპერაციების გარდაუვალი საფრთხე არ არსებობს. გარდა ამისა, არ არსებობს სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ან კომპანიის საქმიანობის არსებითად შეზღუდვის განზრახვა.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ გააჩნდა ბალანსის შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები.

16. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 10 მარტს.



შპს ექსაქტპრო სისტემს ჯორჯია

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წელი

## სარჩევი:

|                                                |   |
|------------------------------------------------|---|
| 1. საქმიანობის მიმოხილვა .....                 | 3 |
| 2. კომპანიის წარსული საქმიანობის ანალიზი ..... | 4 |
| 3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები .....    | 5 |
| 4. კომპანიის სამომავლო პერსპექტივა .....       | 6 |

## საქმიანობის მიმოხილვა

შპს ექსაქტპრო სისტემს ჯორჯია (შემდგომში “ექსაქტპრო საქართველო”) აროს 100%-იანი შვილობილი კომპანია ექსაქტპროს ჯგუფის (შემდგომში „ექსაქტპრო“), რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე იურიდიული პირისაგან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ექსაქტპრო სთავაზობს პროგრამული ტესტირებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამული განვითარების მომსახურებას გლობალურ ფინანსურ ბაზრებს. მას აქვს მუშაობის გამოცდილება სავაჭრო, კლირინგისა და ანგარიშსწორების პლატფორმებთან, ბაზრის მონაცემთა სისტემების, გირაოს მართვისა და რისკების მართვის სისტემების, მონაცემთა ცენტრალური შემნახველების და ა.შ. მიმართულებით. ჯგუფის კლიენტების უმეტესობა შედგება რეგულირებული ბაზრის წარმომადგენლებისგან.

ექსაქტპრო ორიენტირებულია ფუნქციონალურ და არაფუნქციურ ტესტირებაზე რთული, განაწილებული, არადეტერმინიზებული და ხელოვნური ინტელექტის პლატფორმებისთვის. ფუნქციონალური პროგრამული ტესტირების პროცესი მოიცავს დეტალურ შემოწმებას, რათა დავრწმუნდეთ, რომ სისტემის თითოეული კონკრეტული ფუნქცია მუშაობს გეგმის მიხედვით, ფუნქციური ტესტირება განსხვავებულია არაფუნქციური პროგრამული ტესტირებისგან, რომელიც აფასებს სისტემის მუშაობას და ეფექტურობას. ექსაქტპროს მიერ ფუნქციონალური ტესტირება ეძღვნება იმის აღწერას და დადასტურებას, თუ რის გასაკეთებლადაა სისტემა შექმნილი.

ექსაქტპრო აწვდის თავის მომსახურებას ისეთ კლიენტებს, როგორებიცაა: ბირჟები, საინვესტიციო ბანკები, ბროკერები, ტექნოლოგიური ფირმები და ფინანსური სექტორის სხვა ორგანიზაციები დიდ ბრიტანეთში, ევროკავშირში, აშშ-ში, კანადაში, სინგაპურში, იაპონიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში, კატარში, შრი-ლანკაში, ყაზახეთში და კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყანაში. ექსაქტპროს ძირითად კლიენტებს მიეკუთვნება: London Stock Exchange Group, Euronext Group, NASDAQ, London Metal Exchange, Athens Stock Exchange, Singapore Stock Exchange, Australian Securities Exchange, Johannesburg Stock Exchange და სხვები.

ექსაქტპრო დაარსდა 2009 წელს 10 ადამიანით. მას შემდეგ იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ვინაიდან კმაყოფილი კლიენტები საჭიროებდნენ მეტ მომსახურებას; 2024 წლის დეკემბრის ბოლოსთვის ჯგუფის თანამშრომლების რაოდენობა შეადგენდა 369 სპეციალისტს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

## კომპანიის წარსული საქმიანობის ანალიზი

2018 წლის სექტემბერში ექსპეტპროს ჯგუფმა გახსნა ახალი რესურსცენტრი თბილისში შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405291508) სახელით, რომელიც რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, საოფისე ფართი N19, სართული 3, VIII ბლოკი. შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას სრულად ფლობს შპს ექსპეტპრო სისტემსი, რომელიც რეგისტრირებულია გაერთიანებულ სამეფოში (# 09485548; 12.03.2015 წ.). შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯია მოქმედებს როგორც რესურსცენტრი ჯგუფში, იგი უზრუნველყოფს პროგრამული ტესტირებისა და პროგრამული განვითარების მომსახურების გაწევას აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და ლიტვაში მდებარე ჯგუფის სხვა შვილობილი კომპანიებისთვის. შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას არ ჰყავს შვილობილი კომპანიები, არ უწევს მომსახურებას ჯგუფის გარეთ კლიენტებს და არ ჰყავს კლიენტები საქართველოში. ვინაიდან შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯია წარმოადგენს შვილობილ კომპანიას, იგი ყოველწლიურად ამზადებს ინდივიდუალურ აუდიტრებულ ფინანსურ ანგარიშგებას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კი მზადდება დიდი ბრიტანეთის დედა კომპანიის მიერ და წარედგინება შესაბამის სამთავრობო უწყებებს დიდი ბრიტანეთის კანონის შესაბამისად.

2021 წლის 13 ივლისს, საქართველოს მთავრობის N1190 განკარგულების შესაბამისად, შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რაც გარკვეულ საგადასახადო შეღავათებში გამოიხატება, ეს კი კომპანიის ბიზნეს-საქმიანობისთვის, მომავალი ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემწეობი ფაქტორია. გარდა ამისა შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიამ 2023 წლის 27 დეკემბერს საქართველოს შემოსავლების სამსახურთან გააფორმა წინა საფასო შეთანხმება (APA), რის საფუძველზეც დაზუსტდა და განისაზღვა 2023-2025 წლებში ექსპეტპრო საქართველოს მიერ ჯგუფში შემავალი სხვა ორგანიზაციებისთვის გაწეული მომსახურებისთვის დასაწესებელი მოგების მარჟის დიაპაზონი.

შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიამ 2019 წლიდან დაიწყო შემოსავლის მიღება და უწყვეტად, ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში წინა წელთან შედარებით ჰქონდა როგორც გაზრდილი შემოსავალი, ასევე გაზრდილი მოგება 2023 წლის ჩათვლით. 2024 წელს კი დაფიქსირდა შემოსავლისა და მოგების შემცირება Exactpro-ს კლიენტებთან გარკვეული პროექტების დასრულების გამო.

2025 წლის 10 მარტის აუდიტრებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით კი შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას მიერ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 26,464,703.00 ლარს, წმინდა მოგება კი 1,923,966.00 ლარს.

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ვინაიდან შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას სამივე კლიენტი წარმოდგენილია ექსპეტპროს ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიებიდან მსოფლიოს მასშტაბით და მხოლოდ ამ კლიენტებისთვის გაწეული მომსახურებიდან იღებს შემოსავალს, მნიშვნელოვანია კომპანიის ძირითადი რისკები განხილული იყოს ჯგუფის ჭრილში, ვინაიდან ჯგუფის რისკები პირდაპირ ახდენენ გავლენას შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას საქმიანობის შედეგებზე.

ექსპეტპროს ჯგუფი უამრავი რისკისა და გაურკვევლობის წინაშეა, რომლებიც საერთოა მსგავსი ინდუსტრიებისა და მსგავსი განვითარების ეტაპზე მყოფი კომპანიებისთვის, მათ შორისაა, თუმცა არ შემოიფარგლება, ეკონომიკური, პოლიტიკური და საბაზრო პირობების გაურკვევლობის, ზრდის მართვის, საერთაშორისო ოპერაციების მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და სხვა სასამართლო დავის რისკებისგან. მიუხედავად იმისა, რომ შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჰყავს პირდაპირი კონკურენტი, აქვე განსახილველია კონკურენცია ჯგუფისთვის მსხვილი კომპანიების მხრიდან შემცვლელი პროდუქტების გათვალისწინებით - რაც პირდაპირ გავლენას ახდებს შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას საქმიანობაზე. ჯგუფი ასევე დგას პროდუქტის განვითარების რისკის წინაშე.

ჯგუფი მუშაობს პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებისა და განვითარების სერვისების ძალიან კონკურენტუნარიან ბაზარზე. მისი სამიზნე კლიენტურა წარმოდგენილია დიდი საბაზრო ინფრასტრუქტურების სახით (ძირითადად ფასიანი ქაღალდების ბირჟებით). აქედან გამომდინარე, ბაზარი ძალიან შეზღუდულია და აქვს მაღალი შესვლის ბარიერები. ნებისმიერი მსხვილი კლიენტის დაკარგვამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფისთვის და შესაბამისად შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიასთვის არსებითი მატერიალური ზიანი.

გარდა საოპერაციო საბანკო ანგარიშისა და შიდაჯგუფური დაფინანსებისა, ჯგუფი მცირე დოზით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს, ამიტომ ფასების რისკი, საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და ფულადი სახსრების ნაკადის რისკი არ წარმოადგენს არსებითს აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და მოგება ან ზარალის ნაწილში შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიასთვის თუ ჯამურად ჯგუფისთვის.

სავაჭრო დამახულობა შეერთებულ შტატებსა და მის მთავარ სავაჭრო პარტნიორებს, უფრო კონკრეტულად კი ჩინეთს შორის, ასევე აძლიერებს გლობალური ბაზრების რყევას. ყველა ამ რისკმა შეიძლება გავლენა მოახდინოს კაპიტალის გლობალურ ბაზრებზე და შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის საქმიანობაზე - გამომდინარე აქედან შპს ექსპეტპრო სისტემს ჯორჯიას საქმიანობაზეც. თუმცა ჯგუფი მუდმივ რეჟიმში აკვირდება მაკროეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების პოტენციურ გავლენას მის საოპერაციო გარემოსა და ბიზნეს მოდელზე.

## კომპანიის სამომავლო პერსპექტივა

ჯგუფს ჰქონდა შემოსავლების 10.53%-იანი კლება 2024 წელს. თუმცა, იგი ინარჩუნებს ჯანსაღ ბალანსს წმინდა აქტივებით და აგრძელებს მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულებას მათი ვადის გასვლისთანავე.

სხვადასხვა გეოპოლიტიკური დამაბულობა იწვევს ბაზრებზე გაურკვევლობას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს აქტივობის დონეზე.

2024 წლის დასაწყისში და ბოლოს ჯგუფის მყარმა ფინანსურმა მდგომარეობამ საშუალება მისცა მას დაეგროვებინა საკმარისი ფინანსური რესურსები მომავალში ეკონომიკური საქმიანობის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი გლობალური პირობების გამო არ შეიძლება დაზუსტებით რაიმეს თქმა, დირექტორმა განიხილა პროგნოზები ბიზნესისთვის, რომელიც მოიცავს მინიმუმ თორმეტ თვეს ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან. პროგნოზირებულ შემოსავალთან და ფულადი სახსრების ხელმისაწვდომ რეზერვებთან ერთად, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ საკმარისი რესურსები ხელმისაწვდომია მიმდინარე საქმიანობის მხარდასაჭერად. ამ შეფასების და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ფაქტორების შედეგად, შპს ექსპექტპრო სისტემს ჯორჯიას დირექტრმა მოამზადა ფინანსური ანგარიშგება უწყვეტი საქმიანობის საფუძველზე.

ჯგუფი გეგმავს ურთიერთობების დამყარებას ახალ კლიენტებთან, ხოლო განაგრძობს არსებულ კლიენტებთან ძველ ურთიერთობებს. ის აპირებს გაიზარდოს უახლოეს წლებში, ამჟამინდელი კლიენტებისთვის სერვისების მიწოდებით და ახალი კლიენტებისთვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზებით.

დირექტორი

ნათია სირბილაძე

---

## კომპანიის სამომავლო პერსპექტივა

ჯგუფს ჰქონდა შემოსავლების 10.53%-იანი კლება 2024 წელს. თუმცა, იგი ინარჩუნებს ჯანსაღ ბალანსს წმინდა აქტივებით და აგრძელებს მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულებას მათი ვადის გასვლისთანავე.

სხვადასხვა გეოპოლიტიკური დამაბულობა იწვევს ბაზრებზე გაურკვევლობას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს აქტივობის დონეზე.

2024 წლის დასაწყისში და ბოლოს ჯგუფის მყარმა ფინანსურმა მდგომარეობამ საშუალება მისცა მას დაეგროვებინა საკმარისი ფინანსური რესურსები მომავალში ეკონომიკური საქმიანობის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი გლობალური პირობების გამო არ შეიძლება დაზუსტებით რაიმეს თქმა, დირექტორმა განიხილა პროგნოზები ბიზნესისთვის, რომელიც მოიცავს მინიმუმ თორმეტ თვეს ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან. პროგნოზირებულ შემოსავალთან და ფულადი სახსრების ხელმისაწვდომ რეზერვებთან ერთად, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ საკმარისი რესურსები ხელმისაწვდომია მიმდინარე საქმიანობის მხარდასაჭერად. ამ შეფასების და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ფაქტორების შედეგად, შპს ექსაქტორო სისტემს ჯორჯიას დირექტორმა მოამზადა ფინანსური ანგარიშგება უწყვეტი საქმიანობის საფუძველზე.

ჯგუფი გეგმავს ურთიერთობების დამყარებას ახალ კლიენტებთან, ხოლო განაგრძობს არსებულ კლიენტებთან ძველ ურთიერთობებს. ის აპირებს გაიზარდოს უახლოეს წლებში, ამჟამინდელი კლიენტებისთვის სერვისების მიწოდებით და ახალი კლიენტებისთვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზებით.

დირექტორი

ნათია სირბილაძე

